



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორი

ა.დიასამიძე
27.03.2019 წ.

დადგენილება:

2019 წლის 27 მარტის სენატის ოქმი N07


1. შესავალი კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის შინაარსი

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში „სასწავლებელი“) კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა 2019-2025 წლები - ასახავს სასწავლებლის მომავალი კვლევითი საქმიანობის ხედვებს. სასწავლებლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, სასწავლებელს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა მომავალი 7 წლის განმავლობაში თუ როგორ უნდა განავითაროს კვლევითი საქმიანობა.

კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტი შემუშავებულია სასწავლებლის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კონსულტანტების თანამონაწილეობით.

კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტი შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილისაგან. მასში ასახულია სასწავლებლის საქმიანობა, მისია, ხედვა, ღირებულებები, კვლევითი საქმიანობის გამოწვევები, კვლევითი საქმიანობის განვითარება, კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მონიტორინგი.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმა ეფუძნება, სასწავლებლის 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. კვლევითი საქმიანობა სასწავლებლის ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარეა, თუმცა სასწავლებელი ამას იღებს როგორც გამოწვევას და მომავალი 7 წლის განმავლობაში გეგმავს კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებას.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

2. სასწავლებლის საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (შემდგომში „ბუსსს ანრი“ ან „სასწავლებელი“) დაარსდა 2000 წლის ივნისში, თავიდან მას ერქვა „საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი“. 2005 წლის აგვისტოში, სასწავლებელმა შეიცვალა სახელწოდება და დაფუძნდა, როგორც შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ანრი“, ხოლო 2014 წლის 01 ივლისიდან მას ეწოდება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი.


სასწავლებლის ძირითად საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი; პროფესიული განათლების დეპარტამენტი (რომელიც ახორციელებს პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს) და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი (რომელიც ახორციელებს მოქმედი და დამწყები მეზღვაურების მომზადებას/გადამზადებას).

2019 წლისათვის ბუსსს ანრი ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) ორ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე ბუსსს ანრი საზღვაო სფეროში პროფესიული განათლების ერთ-ერთი მსხვილი პროვაიდერია რეგიონში. სასწავლებლის ზრუნვის საგანია ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის და მსმენელებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა და დასაქმების ხელშეწყობა, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფა.

საგანმანათლებლო საქმიანობა ბუსსს ანრიში ხორციელდება “უმაღლესი განათლების შესახებ”, “პროფესიული განათლების შესახებ”, “მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ” საქართველოს კანონებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრ ქვეყანას, ამიტომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ნორმატიულ დოკუმენტებსა და საერთაშორისო კონვენციებს ჩვენი სასწავლებლისთვის აქვს სავალდებულო ხასიათი.

ბუსსს ანრი სერტიფიცირებულია საერთაშორისო ხარისხის სისტემის ISO 9001:2015 შესაბამისად. ასევე გაგვაჩნია IQNet-ის სერტიფიკატი.

ბუსსს ანრი არის ისეთი ორგანიზაციების წევრი, როგორცაა: ახალი ევროპული უნივერსიტეტების ალიანსი, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია, არის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაცია; ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს წევრი და სხვა.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

საერთაშორისო ასოციაციები: IASST-ის (უშიშროებისა და გადარჩენის წვრთნების (მომზადების) საერთაშორისო ასოციაცია) და Global MET-ის (გლობალური საზღვაო განათლება და მომზადება) BSAMI-ს (შავი ზღვისპირეთის საზღვაო სასწავლებლების ასოციაცია) და სხვა.

ლექციებს და კურსებს კითხულობს გამოცდილი საზღვაო სპეციალისტები, კვალიფიცირებული პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები.

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

სწავლების, მომზადების პროცესი მომდინარეობს შემუშავებული, დამტკიცებული და აღიარებული პროგრამების საფუძველზე, ვიდეო მასალის, კურსის შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით. სრულყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად სასწავლებელს გააჩნია თ/მ “კაპიტანი ოთარ ჩახვაძე”, სწრაფმავალი და სამაშველო კატარღები, მოტონავი, სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, ხმელეთზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო სიმულატორი, რადიოკავიური და ავტომატური რადიოლოკაციური სიმულატორი, რეალური სამანქანო განყოფილება, ჰიდრავლიკური, პნევმატიკური, ელექტრო ლაბორატორიები და საამქროები, რეალური გემის მოდელი, საცურაო აუზი და სხვა.

სასწავლებელში არის საერთო საცხოვრებელი საქართველოს სხვა რეგიონებიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.


ბუსსს ანრი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო კრუინგულ და გემთმფლობელ კომპანიებთან, რათა უზრუნველყოს წარჩინებული სტუდენტების საცურაო პრაქტიკა და კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ჩვენი სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ეძლევა შესაძლებლობა გაიარონ სრულყოფილი საზღვაო პრაქტიკა შორეულ ნაოსნობაში დასაქმების პერსპექტივით.

ბუსსს ანრის ორგანიზაციული სტრუქტურა თავისი ქვედანაყოფებით სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე მდგომ გამოწვევებს და წარმატებით ართმევს თავს მისიით განსაზღვრულ ამოცანებს.

3. სასწავლებლის მისია, ხედვა, ღირებულებები

სასწავლებელს ჩამოყალიბებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებათა სისტემა. შემუშავებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტი N 2-0201-11 „მისია, ხედვა ღირებულებები“.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

მისია

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი ეფუძნება რა უმაღლესი და პროფესიული განათლების, ასევე მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს, ისწრაფვის საზღვაო დარგებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული თანამედროვე ცოდნის გავრცელებისაკენ.

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.

ამ მიზნით იგი საზღვაო-სავაჭრო ფლოტისა და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ და პროფესიულ განათლებას, რომელიც განხორციელდება სწავლებით, სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული გარემოს შექმნით და ავითარებს საკუთარ კვლევით პოტენციალს. ამით სასწავლებელი ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.


ხედვა

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის ხედვაა, სასწავლებელი ჩამოყალიბდეს სწავლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნად და საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიის სფეროში ხელმისაწვდომ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტი სწავლების პრინციპს და სწავლებისა და დარგობრივი გამოყენებითი კვლევების ინტეგრირებას.

ღირებულებები

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის თავის საქმიანობას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებზე:

- სამართლიანობა;
- ჰუმანურობა;
- ტოლერანტობა;
- თანაბარი შესაძლებლობები;
- მრავალფეროვნება;
- თავისუფლება და პასუხისმგებლობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება;
- ღიაობა და გამჭვირვალობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms


4. კვლევითი საქმიანობის გამოწვევები

კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებამდე გაანალიზდა სასწავლებლის წინაშე მდგარი გამოწვევები:

1. კვლევითი საქმიანობის სიმცირე;
2. ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევითი საქმიანობის არარსებობა;
3. კვლევითი საქმიანობის არასებობა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით;
4. კვლევითი ინსტიტუტების არ არსებობა;
5. კვლევითი ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა ან უფრო მეტად ქმედით სტრუქტურად ჩამოყალიბება.
6. სასწავლებლის აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
7. სახელმძღვანელოების შემუშავების სიმცირე;
8. კვლევითი პროექტების განხორციელების სიმცირე;
9. პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება;
10. პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასება;
11. კვლევითი საქმიანობის წახალისება;
12. კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია;
13. კვლევის ინტერნაციონალიზაცია.
14. სტუდენტების ჩართვა კვლევით აქტივობებში.

5. კვლევითი საქმიანობის განვითარება

კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით ბუსსს ანრის ძირითადი მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება. აგრეთვე სწავლა/სწავლების პროცესებში კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციისა და სამეცნიერო კადრების მომზადების და მოზიდვის პროცესების განხორციელება.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms


კვლევითი საქმიანობის გამოწვევებიდან გამომდინარე სასწავლებელი აქტიურ საქმიანობას ეწევა სასწავლებლის კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით, რისთვისაც საჭიროა რამდენიმე მიმართულებით აქტიური საქმიანობა. კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით, დაწესებულების საქმიანობის ანალიზისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შედეგად, ჩამოყალიბდა 5 სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები. კვლევითი საქმიანობის განვითარების წინაპირობად ბუსუსს - ანრი მიიჩნევს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: თანამშრომლობის გაძლიერება; კვლევითი საქმიანობის შეფასება; კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერება; კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია; ახალგაზრდა კადრების ჩართვა კვლევით საქმიანობაში.

სტრატეგიული მიზანი 1- თანამშრომლობის გაძლიერება

1. სასწავლებელი ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას. სასწავლებელი პარტნიორულ ურთიერთობებს გააძლიერებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. სასწავლებლის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას ქვეყანაში.
2. სასწავლებელი გეგმავს მემორანდუმის გაფორმებას ეკონომიკურ აგენტებთან, რის ფარგლებშიც იგეგმება კვლევითი საქმიანობის განხორციელება ეკონომიკური აგენტების ინტერესებიდან გამომდინარე.
3. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან და მკვლევარებთან თანამშრომლობა. კვლევის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით სასწავლებელი ხელს შეუწყობს სასწავლებლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა და ბაზებში კვლევითი პროდუქტების გამოქვეყნებას.
4. სასწავლებელი გააძლიერებს თანამშრომლობას ევროპულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებას, მათ შორის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას.

სტრატეგიული მიზანი 2 - კვლევითი საქმიანობის შეფასება

1. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში სასწავლებელში შემუშავდება და დაინერგება აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რის ფარგლებში განხორციელდება პერსონალისათვის შესაბამისი მოთხოვნების დაწესება



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

(კვლევითი ნაშრომი, სტატია, სახელმძღვანელო, სამეცნიერო პროექტი) და განხორციელება მისი შესრულების მონიტორინგი.

2. სასწავლებელში დაინერგება აკადემიური პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;
3. კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის და კვლევის რაოდენობის გაზრდის მიზნით სასწავლებელი გეგმავს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემის შემოღებას, რაც აკადემიური საქმიანობის ნაწილი გახდება. აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს სასწავლებელში კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდას.

სტრატეგიული მიზანი 3- კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდამჭერის გაძლიერება


1. სასწავლებლის ფაკულტეტის ფარგლებში შეიქმნება კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანსაც სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა.
2. კვლევითი ცენტრის ფარგლებში შემუშავდება კვლევები, მომზადდება სახელმძღვანელოები, აგრეთვე ანალიტიკური დოკუმენტები. კვლევითი ცენტრის საქმიანობაში სასწავლებელი ჩართავს სტუდენტებსაც, რომელთა მოზიდვის პროცესში სასწავლებელი მათ დაუფინანსებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებას.
3. სასწავლებელი ხელს შეუწყობს კვლევითი პროექტების განხორციელებას, რისთვისაც სასწავლებლის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გაზრდის დაფინანსების თანხებს. სასწავლებელში უკვე არსებობს კვლევითი პროექტების დაფინანსების გამჭირვალე სისტემა.
4. სასწავლებელი წახალისებს სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესს.

სტრატეგიული მიზანი 4 - კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია

1. სასწავლებელი გეგმავს კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას, რაც კვლევითი პოტენციალის ზრდის წინაპირობაა.

სტრატეგიული მიზანი 5 - ახალგაზრდა კადრების ჩართვა კვლევით საქმიანობაში

კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ახალგაზრდა კადრების, მათ შორის სტუდენტების, მოწვეული პერსონალის ჩართვა კვლევით საქმიანობაში. სასწავლებელი ხელს



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

შეუწყობს ამ პროცესს: კვლევითი პროექტებისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების გზით; ახალგაზრდა კადრების კვლევით პროექტებში ჩართვის გზით; ახალგაზრდა მკვლევარების საერთაშორისო მივლინებების დაფინანსების გზით; ახალგაზრდა მეცნიერების და მკვლევარებისათვის საორიენტაციო შეხვედრების ჩატარების გზით.

6. კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის სამოქმედო გეგმა ასახულია სასწავლებელის ერთწლიან და სამწლიან სამოქმედო გეგმაში.

კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მიმდინარეობა მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას უნდა დაექვემდებაროს.

სასწავლებელის გენერალური დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა სასწავლებელის მაღალ წარმომადგენლობას. კვლევითი საქმიანობის განვითარების სამუშაო ჯგუფი, კვლევითი ცენტრი მუდმივ მონიტორინგს უწევს კვლევითი საქმიანობის გეგმის შესრულების პროცესის მიმდინარეობას.


კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ყოველწლიურად შეაფასებს კვლევითი საქმიანობის განვითარების დოკუმენტის შინაარსს და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია კვლევითი ცენტრისა და რექტორის წინაშე.

მონიტორინგის პროცესში მოხდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლების, და პარტნიორი ორგანიზაციების (ეკონომიკური აგენტების) გამოკითხვა პროცესების სრულყოფის მიზნით.

მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში კვლევითი საქმიანობის განვითარების სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, კვლევითი საქმიანობის განვითარებისა გეგმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რომელიც გადაეცემა კვლევით ცენტრს და სენატს განსახილველად.

ანგარიში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) შეფასების პერიოდი;
- ბ) შეფასების მონაწილე პირები;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

- გ) შესწავლილი დოკუმენტაცია;
- ე) დაგეგმილი ღონისძიებები;
- ვ) სასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ზ) სამუშაო ჯგუფის შეფასება

7. კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები


ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის შემუშავებული და დანერგილი აქვს კვლევისა და განვითარების მხარდაჭერის ეფექტური სისტემა, რომელიც ემსახურება მისი კვლევითი პოტენციალის განვითარებას და კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მიზნების შესრულებას. სასწავლებელში არსებული კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები მოიცავს სტრუქტურულ, ფინანსურ, ინფორმაციულ და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მხარდამჭერ მექანიზმებს.

სტრუქტურული მექანიზმები

ბუსსს ანრიში, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, არსებობს კვლევითი ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს და რომლის დანიშნულებაცაა შპს ბუსსს ანრის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ბუსსს - ანრის კვლევითი ცენტრი ინფორმაციულ, სამართლებრივ, საკონსულტაციო და სხვა ტიპის მხარდაჭერას უწევს კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს და სხვა დაინტერესებულ პირებს. კვლევითი ცენტრი ორგანიზებას უწევს საგრანტო კონკურსების გამოცხადებას, განხორციელებას და დაინტერესებული პირების ინფორმირებას. კვლევითი ცენტრი ასევე ხელს უწყობს ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას, უწევს კონსულტაციას, და აფინანსებს აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების ხარჯებს.

ფინანსური მექანიზმები

ბუსსს ანრის შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმები, რომელიც მოიცავს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიან პროცედურებს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

სასწავლებელში ცხადდება **მიზნობრივი შიდა საგრანტო კონკურსები**, ტარდება გამოყენებითი კვლევები. კონკურსის ჩატარების საფუძველია სასწავლებლის სენატის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული სასწავლებლის რექტორის ბრძანება. პარტნიორ დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთობლივად განსახორციელებელი და/ან დასაფინანსებელი პროექტის შემთხვევაში აუცილებელია ყველა პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი გადაწყვეტილება და ურთიერთშეთანხმება კონკურსის პირობებთან დაკავშირებით. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ, ისევე როგორც კონკურსის ჩატარების პირობები ქვეყნდება საჯაროდ კონკურსის გამოცხადებამდე.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების გარდა, სასწავლებელში შემუშავებულია **სამეცნიერო ნაშრომების კონკურსის** ჩატარებისა და დაფინანსების წესი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და იმ ნაშრომების გამოვლენა, რომლის მომზადება და/ან გამოცემა დაფინანსდება სასწავლებლის მიერ. კონკურსის ჩატარების წესი, ვადები, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია კონკურსანტებისთვის საკონკურსო დოკუმენტაციის დაწყების მიღებამდე.


კონკურსზე შეიძლება იყოს წარდგენილი სასწავლებლის საგანმანათლებლო, პრიორიტეტულ ან აქტუალურ მიმართულებებში შესრულებული ცალკეული ნაშრომები ან ნაშრომთა ციკლი. კონკურსზე მიიღება:

- ✓ სამეცნიერო სტატიების ციკლი (არანაკლებ 2 სტატია);
- ✓ მონოგრაფია;
- ✓ სამეცნიერო-ანალიტიკური ანგარიში;
- ✓ სახელმძღვანელო (სასწავლო, მეთოდური, სხვ.);
- ✓ ლექსიკონი და/ან სხვ.

ბუსსს ანრის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმები გამოიყენება კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმის მიხედვით დასახული მიზნების მისაღწევად. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრიორიტეტულ მიმართულებებს.

კვლევითი საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები გაწერილია ბუსსს ანრის „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში“. დოკუმენტი განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ემსახურება პერსონალის ინფორმირებას, ასევე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას სასწავლებლის კვლევით საქმიანობაზე.

ინფორმაციული მექანიზმები



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები

Research activities strategy and support mechanisms

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით, ბუსსს ანრი პერსონალს სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებას, მის შეფასებასა და წარდგენასთან, ასევე პუბლიკაციების გამოცემასთან დაკავშირებით. საინფორმაციო უზრუნველყოფა ხდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ვებ. გვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით.

აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის მხარდამჭერი მექანიზმები

ბუსსს ანრიში მაღალი ხარისხისა და სანდოობის კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით შემუშავებული და დანერგილია პლაგიატის თავიდან აცილებისა და აღმოჩენის, ასევე მასზე რეაგირების მექანიზმები. კვლევის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები, რაც მაღალი ხარისხის კვლევის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. პლაგიატთან ერთად, ასევე მიუღებელია აკადემიური/სამეცნიერო კეთილსინდისიერების ნებისმიერი ტიპის დარღვევა, მათ შორის ნაშრომში მითითებული ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება.

8. კვლევითი საქმიანობის სტრატეგია და მხარდამჭერი მექანიზმები შემუშავებულია 2019-2025

წწ ვადით.